ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5789313

ნომერი: AR1875907

თარიღი : 02.02.2022

გაცემის თარიღი : 04.02.2022

გაცნობის თარიღი : 04.02.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ა. კათალიკოსი (ყოფ.ივანიძე), N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზი ბეჟუაშვილი პ/ნ 35001127591
- რუსთავი თბილისის ქ. მ/ტ N 82

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 02 თებერვლის R1875907 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N22; აბტონ კათალიკოსის ქ. N19-ში არსებულ შენობაზე საჩრდილობელბისა და სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N22; აბტონ კათალიკოსის ქ. N19-ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება;

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შემადგენლობით:
- განმარტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;
- გეგმა ჭრილი, ფასადი - არსებული-საპროექტო, საკადასტრო საზღვრებიოთ, ტროტუარით, ზომებით, მანძილებით;
- ჭრილზე ნაჩვენები იქნეს საჩრდილობლის ნიშნულები;
- საჩრდილობლის მოწყობისას გათვალისწინებული იქნეს საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის ნორმები. გაითვალისწინეთ, რომ „დასაშვებია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საყრდენი სვეტების მოწყობა ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ტროტუარის ფუნქციონირებას. ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, მათ შორის საყრდენ სვეტებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.2 მ.

2..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი :არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები ახლო და შორი ხედიდან, დათარიღებული;

3. ..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :
- არ არის წარმოდგენილი ფოტომონტაჟი ახლო და შორი ხედიდან;
- ფოტომონტაჟზე მითითებული იქნეს მასალა, ზომები, ნიშნულები.

4. არ არის წარმოდგენილი ჩასატარებელი სამუშაოების კალენდარული გრაფიკი ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;

5. ნომენკლატურის ცვლილების შემდეგ დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „კატიო“ და მისი დირექტორი;

6. წარმოდგენილ იქნეს შპს „კატიოს“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა;

7. წარმოდგენილი ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება.;

8. წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა განსახორციელებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.